დამტკიცებულია
სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს
2020 წლის 23 დეკემბრის #20 დადგენილებით

საექსპორტო პროდუქციის ფასების სტატისტიკური გამოკვლევა

კითხვარი N 06.2.2.1 (წლიური)

CPA კოდი	პროდუქტის დასახელება				
პროდუქტის სახეობა	ზომის ერთეული	საექსპორტო ქვეყანა	ხვედრითი წილი %	საბაზო თვის ფასი (ლარი)	კომენტარი

- ✓ **CPA კოდი** - შერჩეული პროდუქტის კოდი საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაციის შესაბამისად;
- ✓ **პროდუქტის დასახელება** - შერჩეული პროდუქტის დასახელება CPA კლასიფიკატორის შესაბამისად;
- ✓ **პროდუქტის სახეობა** - შერჩეული პროდუქტის გასული წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გაყიდვადი ოთხი სახეობის დასახელება;
- ✓ **ზომის ერთეული** - თითოეული საექსპორტო პროდუქტის ზომის ერთეული (კილოგრამი, ცალი, ლიტრი და ა. შ.);
- ✓ **საექსპორტო ქვეყანა** - იმ ქვეყნის დასახელება სადაც განხორციელდა აღნიშნული სახეობის პროდუქტის ექსპორტი;
- ✓ **ხვედრითი წილი** - თითოეული პროდუქტის სახეობის ხვედრითი წილი მითითებული საექსპორტო პროდუქტის ნომინალურ ღირებულებაში;
- ✓ **საბაზო თვის ფასი -** გასული წლის დეკემბერში (დეკემბერში არ არსებობის შემთხვევაში, ბოლოს დაფიქსირებული) საწარმოს მიერ ექსპორტირებული პროდუქტის ფასი ლარებში. საექსპორტო ფასი წარმოადგენს მითითებულ პერიოდში საწარმოს მიერ დაწესებულ ფრანკო-საზღვრის ფასს (FOB). ის მოიცავს მწარმოებლის ფასს საწარმოს კართან, პროდუქციაზე წმინდა გადასახადებს (გადასახადები-სუბსიდიები), ტრანსპორტირების და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მწარმოებელი ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის დატოვების წერტილამდე პროდუქციის მისატანად;
- ✓ **კომენტარი** - სხვა დამატებითი ინფორმაცია.